აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი პროფილი 2018-2019

1. ფაკულტეტის პროფილის დოკუმენტის მიზანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მიზანია მისი მრავალპროფილური სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია და ინტერნაციონალიზაცია.

კვლევითი პროფილის დოკუმენტში ასახულია არსებული მდგომარეობა და დასახულია სამომავლო პერსპექტივები.

2. მოკლე სიტუაციური აღწერა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სამეცნიერო კვლევებს ახორციელებს 8 დარგობრივ დეპარტამენტსა და 1 სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულში:

- ✓ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი;
- ✓ ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი;
- ✓ გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი;
- ✓ კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი;
- ✓ აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტი;
- ✓ სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტი;
- ✓ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი;
- ✓ ფილოსოფა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტი;
- ✓ ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

სამეცნიერო კვლევები ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

1. ქართველოლოგია
2. ისტორია-არქეოლოგია
3. ლინგვისტიკა
4. ლიტერატურათმცოდნეობა
5. ფილოსოფია
6. ხელოვნებათმცოდნეობა
7. ფსიქოლოგია

3. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

1. **ძლიერი მხარეები / გარე მხარდამჭერი გარემოებები**

1.1. მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
1.2. მაღალპროფესიული კვლევის ხანგრძლივი ტრადიცია, კვლევის შედეგების ინტეგრირება სწავლების პროცესში;
1.3. აკადემიური პერსონალის, პარტნიორობის ფარგლებში, ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებსა და სამეცნიერო პროექტებში.
1.4. ახალგაზრდა მკვლევრების (მაგისტრანტები, დოქტორანტები) ჩართულობა კვლევის პროცესში;
1.5. აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების აქტიური მონაწილეობა აკადემიურ გაცვლით პროგრამებსა და საგრანტო პროექტებში;
1.6. ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი;
1.7. ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მაღალ დონეზე ჩატარების ტრადიცია;
1.8. მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს, ევროპულ, ამერიკულ და აღმოსავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო–კვლევით ცენტრებთან; სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციასა, საზოგადოებასა თუ ინსტიტუტთან; საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების კულტურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებებთან;
1.9. უცხოეთში გამოცემული სტატიები.
1.10. ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფონდებში საკონკურსოდ წარდგენილი პროექტები;
1.11. კვლევების განხორციელებისათვის არსებული შესაბამისი მატერიალური ბაზა;

2. სუსტი მხარეები/საფრთხეები

2.1. საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების, შრომების ციტირების ინდექსის დაბალი მაჩვენებლები;
2.2. სამეცნიერო კვლევებში უცხოელი მეცნიერების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი;
2.3. ეროვნულ დონეზე სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროების სიმწირე;
2.4. სამეცნიერო პროდუქციის ინტერნეტსივრცეში განთავსების სირთულე –აკადემიური ჟურნალების ელექტრონული დომენების შექმნის დაფინანსების საჭიროება.

3. პარტნიორები

2019 წლის ნოემბერში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები გაფორმდა:

1. ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიას, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსტიტეტსა და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის;
2. გრაცის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან;
3. სლოვაკეთის რუჟომბეროკის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან

2019 წლის 1-2 ნოემბერს ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“.

4. კვლევითი მიმართულებები და პროექტები

მიმართულება: ქართველოლოგია

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ძირითადად ხორციელდება **ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზაზე,** შემდეგი მიმართულებით:

- **ქართველური დიალექტოლოგია, ეთნოგრაფია და ფოლკლორი;**
- **უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა;**

დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული კუთხით ქართველური დიალექტების შესწავლა ხდება როგორც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ (ტაო-კლარჯეთში) ჩატარებულ სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში მოპოვებული მასალების საფუძველზე:

2018 წლის 8-17 აგვისტოს ექსპედიცია განხორციელდა ტაოსა (სოფლები: ხევაი, ქობაი, ბალხი) და იმერხევში (სოფლები: ქოქლიეთი, ივეთი, წყალსიმერი, შოლტისხევი,, ბზათა...).

2019 წლის 23 ივლისი - 1 აგვისტოს ექსპედიცია ჩატარდა იმერხევსა (სოფლები: იფხრევლი, იმნიეთი, მანატბა, ხოხლევი, ხევწვრილი, აგარა, უსტამისი...), და ტაოში (სოფლები: ხევაი, ქობაი, ბალხი).

2020 წელს დასრულდება გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (სვანეთი, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა...) მაგნიტოფონით ჩაწერილი დიალექტური აუდიომასალის გაციფრება (MP3 ფაილების სახით DVD დისკებზე გადატანა) და ფონეტიკური სიზუსტის შემოწმება; აგრეთვე დიალექტოლოგიური (ეთნოგრაფიული, ფოლკლორული) ტექსტების კორპუსის მომზადება.

2018 წელს - გამოვიდა პერიოდული (ყოველწლიური) სამეცნიერო რეცენზირებადი ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“, XXII ნომერი (დაბეჭდილია 33 სტატია და ქართველური: მეგრული და იმერული დიალექტური ტექსტები); 2019 წელს კი ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“, XXIII ნომერი (45 სტატია).

2019 წლის 13-14 ივნისს ჩატარდა „ქუთაისური საუბრები - XV“. კონფერენციის თემა: „თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველთა ენა და კულტურა“. კონფერენციაში მონაწილეობდა 50-მდე მეტი მომხსენებელი.

ფაკულტეტის დაფინანსებით 2018 წელს განხორციელდა ეთნოგრაფიული ექსპედიცია მთიან აჭარაში, მარეთის ხეობაში. (მახალაკიძეები, დარჩიძეები, პაპოშვილები, გორი, ოლადაური, ტომაშეთი და მთა ჩირუხი). ექსპედიციაში ჩართული იყვნენ ისტორიისა და ქართული ენა და ლიტერატურის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. ექსპედიციის საანგარიშო კონფერენცია ჩატარდა 2018 წლის 2 მაისს.

ასევე, 2019 წელს, ფაკულტეტის დაფინანსებით ეთნოგრაფიული ექსპედიცია ჩატარდა ქვემო ქართლში კერძოდ ბოლნისში, კაზრეთში, რატევანში, ტანძიაში, ბალიჭში, რაჭისუბანსა და ქვეშში.

მიმართულება: ისტორია

- ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის ისტორიის საკითხები
- ქუთაისის მუზეუმებსა და არქივში დაცული მე-19 საუკუნის შუახანების ქუთაისისა და საქართველოს ისტორიის უცნობი ქართული და უცხოენოვანი დოკუმენტების კვლევა და საქართველოს ისტორიის ისტორიის ნაკლებად შესწავლილი საკითხების სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა.
- ქუთაისსა და იმერეთის რეგიონში გამომავალი საინფორმაციო საშუალებების (მე-19 საუკუნიდან) ისტორიოგრაფიული მასალის შესწავლა და დამუშავება.

აღნიშნულ კვლევებთან დაკავშირებით, 2019 წლის 20-21 დეკემბერს ააიპ ქუთაისის შემსწავლელმა სამეცნიერო - კვლევითმა ცენტრმა რომლის შემადგელობაშიც შედიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები - პროფ. ომარ ნიშნიანიძე, პროფ. ვლადიმერ წვერავა, პროფ. სულხან კუპრაშვილი, ასოც პროფ. ელდარ თავბერიძე, უნივერსიტეტთან ერთად ჩაატარა ეროვნული კონფერენცია - „ქუთაისი და ქუთაისის ქვეყანა“.

არქეოლოგია:

- ქუთაისის და იმერეთის რეგიონის არქეოლოგიური ძეგლები
- დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარები, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება

2018–2019 წლებში ჰუმანიტარულ მევნიერებათა ფაკულტეტის, ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით და ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მონაწილეობით განხორციელდა ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციები ბაგრატის ტაძარზე, გაბაშვილის გორაზე, გელათის სამონასტრო კომპლექსში, გეგუთის ციხე–დარბაზში, სოფელ მესხეთში, ექსპედიციის მიერ მოპოვებული ორგანული ნაშთების შესწავლა მიმდინარეობს ვარშავის უნივერსიტეტსა და ისრაელში ვაიზმანის ინსტიტუტში.

2019 წელს ქუთაისში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით გაიხსნა ს. კრუკოვსკის სახელობის ინტერდიციპლინარული კვლევის ცენტრი, რომელთანაც ერთობლივ კვლევებს აწარმოებს ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიის მიმართულება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

2019 წლის ნოემბერში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში" გაიმართა პოლონურ-ქართული ინტერდისციპლინარული კვლევის უახლესი შედეგების გამოფენა-პრეზენტაცია: „ძველი ქუთაისის არქეოლოგიური გათხრების შედეგები, პალეობოტანიკური ანალიზი და კვლევის მეთოდოლოგია".

მიმართულების პროფესორები და მოწვეული პერსონალი ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში, რომლებიც ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების დაფინანსებით:

2019 წელს ვიზიტი (ასოც.პროფ. რ.ისაკაძე) ისრაელში სიძველეთა დაცვის დეპარტამენტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი პროექტის „ქართული მონასტრის (ბეის-ელ-ყუტი) არქეოლოგიური კვლევები" ფარგლებში.

2018 წ. სამეცნიერო მივლინება (შ. ბუაძე) ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტში, საქართველოს პოლონეთის საელჩოსა და ს. კრუკოვსკის სახელობის ქართულ-პოლონური ინტერდიციპლინარული კვლევის ცენტრის ეგიდით განხორციელებული ქართულ-პოლონური არქეოლოგიური პროექტი.

2018 წ. იუნესკოს პოლონეთის ეროვნული კომისია; დოქტორანტების (შ. ბუაძე) სასწავლო-სამცნიერო მივლინება პოლონეთში, ხელმძღვანელი ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფ.როდოსლავ კარაშევიჩ შჩიპიორსკი.

ეროვნული საგრანტო პროექტები:

2016–2019 შოთა რუსთაველის ეროვნული სამცნიერო ფონდი მეტალურგიის წარმოშობა და განვითარება მთიან კოლხეთში: ახალი აღმოჩენები, კვლევები და პერსპექტივები ლეჩხუმში, როლანდ ისაკაძე (დამხმარე პერსონალი).

2019 წელი შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა გრანტი „უცხოურ წყაროებში დაცული ცნობები და საილუსტრაციო მასალები ქართული კოსტუმის ისტორიისათვის''. - მენტორი ნონა ქარციძე.

მიმართულება: ლინგვისტიკა

2019 წლის 10-13 ივნისს ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტისა და აღმოსავლური ფილოლოგის დეპარტამენტის მასპინძლობით ჩატარდა AIDA-ს (fr. *Association Internationale de Dialectologie Arabe*) XIII საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღე 80-ზე მეტმა მკვლევარმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ფაკულტეტის დაფინანსებით 2018 წელს შესრულდა პროექტი „გერმანულ–ქართულ ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონი. გრამატიკული და კომუნიკაციური ასპექტები". 2020 წელს დაგეგმილია „გერმანულ–ქართულ ფორმაუცვლელ სიტყვათა ლექსიკონი. გრამატიკული და კომუნიკაციური ასპექტები. მეორე ნაწილი. კონექტორები." მომზადება. პროექტი ხორციელდება აწსუ-სა და იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტებს შორის არსებული პარტნიორობის (DAAD-GIP) ფარგლებში.

2018-2021 წლები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი - იმერეთის სოციოლინგვისტური სურათი XIX საუკუნის 80-90-იანი და XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქუთაისის პრესაში; (ზოგადი ენათმეცნიერების აკადემიური პერსონალი).

ქალაქ ბელოსტოკის უნივერსიტეტის დაფინანსებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „პოლონურ-ქართული ურთიერთობები: ლიტერატურა, ენა, ისტორიის“. პირველი სესია ჩატარდება 2020 წლის მაისში - პოლონეთში, ქალაქ ბელოსტოკის უნივერსიტეტში, ხოლო მეორე სესია 2020 წლის ოქტომბერში - აწსუ-ში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

მიმართულების პროფესორები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კვლევითი ცენტრების დაფინანსებით:

ქართული ენის მიმართულების პროფ. თამარ ლომთაძე მონაწილეობს: 2018-2019 ლატვიის განათლების განვითარების სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი #1.-50.3/ 3844 „ტერმინოლოგიური მუშაობა ლატვიაში“; 2017-2020 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი FR_17-158 „ქართული ენის გრამატიკა ნორმასა და ვარიაციებს შორის“; 2017-2018 ლატვიის განათლების განვითარების სახელმწიფო დეპარტამენტის გრანტი # 1-503/3050 „ ენობრივი პოლიტიკა პოსტსაბჭოთა ლატვიაში“;2016-2019 შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი (DI – 2016-32, „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“.

2018-2019-2020 წლებში გერმანია- ქ. იენა. DAAD-გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახური/. ქ. იენის ფრიდრიხ შილერის-უნივერსიტეტსა და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობის ფარგლებში გერმანული ენისა და ლიტერატურის ლექტორ-მასწავლებლების ორმხრივი სამეცნიერო მივლინებები.

მიმართულება: ლიტერატურათმცოდნეობა

2018-2019 წლები სლოვაკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო კვლევითი გრანტი; მოდერნისტული მითოპოეტიკა: მითოსი ინგლისურ და ამერიკულ მოდერნისტულ ლიტერატურაში; პროფესორი ირაკლი ცხვედანი,(გრანტის მიმღები და შემსრულებელი) 2017-2019 წლები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; „ჯეიმზ ჯოისის კვლევის და თარგმნის ისტორია საქართველოში“ ასოც.პროფ. ელისო ფანცხავა (ძირითადი პერსონალი)

6. ადამიანური რესურსები

ფაკულტეტზე კვლევის პროცესს ემსახურება:

- 4 ემერიტუსი;
- 25 პროფესორი;
- 75 ასოცირებული პროფესორი;
- 23 ასისტენტ პროფესორი;
- მოწვეული სპეციალისტი;

- დოქტორანტი.

7. მატერიალური რესურსები

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს რამდენიმე კომპიუტერ-კლასი, კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დარგობრივი კაბინეტები და აუდიტორიები (კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორები და. ა.შ.). საკონფერენციო დარბაზი, ინტერნაციონალური კლუბი. მუდმივ განახლებადი, მდიდარი დარგობრივი წიგნადი ფონდი (10 000 ერთეულზე მეტი), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამკითხველო დარბაზი, გოეთეს ბიბლიოთეკა.

აწსუ-ს ისტორია–არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიის მიმართულება კვლევითი პროექტების განხორციელებისათვის იყენებს ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზას (ქ. ქუთაისი, ბაგრატის ქ. # 25). აგრეთვე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებსა და ლაბორატორიებს, ქუთაისის ისტორიულ–არქიტექტურული მუზეუმ–ნაკრძალის შემადგენლობაში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიური ექსპედიციებსა და ლაბორატორიებს.

შესაბამის დეპარტამენტებთან ფუნქციონირებს ენობრივი, საენათმეცნიერო, ლიტერატურული, ისტორიკოსთა და სხადასხვა სამეცნიერო-შემოქმედებითი კლუბები და წრეები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტუდენტთა პიროვნულ და ინტელექტუალურ განვითარებაში.

8. განვითარების მიზნები

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორიენტირება შემდეგი კრიტერიუმების გაუმჯობესებით:

- კვლევითი გარემო (research environment) - სათანადო ინფრასქტრუქტურა;
- კვლევაზე მოზიდული სახსრები (research income) – ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გრანტების თუ პირდაპირი დაკვეთების ფორმით, კონფერენციები და ა.შ.;
- კვლევის შედეგი (research output) - პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის გამოცემებში (ციტაციის კოეფიციენტი), და ა.შ.
- დოქტორანტების რაოდენობა და ზოგადად სტუდენტების მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადების სისტემის არსებობა;
- კვლევითი და სასწავლო აქტივობების ურთიერთდაკავშირება; სასწავლო პროცესში კვლევის შედეგების ჩართვა; სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს პრიორიტეტულად მიაჩნია შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები:

1. **ქართველოლოგია**
2. **ისტორია-არქეოლოგია**
3. **ლინგვისტიკა**
4. **ლიტერატურათმცოდნეობა**

წარმოდგენილი პრიორიტეტული მიმართულებების სამეცნიერო კვლევების შეფასება ხდება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ხილვადობის გათვალისწინებით.

1. **მიმართულება: ქართველოლოგია**

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრს აქვს შესაბამისი პოტენციალი მოიზიდოს და შეინარჩუნოს მოტივირებული და მიღწევებზე ორიენტირებული ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტები.

ინტერნაციონალიზაციის კუთხით გააქტიურება (საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, სხვადასხვა დაწესებულებებთან, ფონდებთან თანამშრომლობა, ერთობლივი კვლევების დაგეგმვა…), რაც ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის განვითარებას და წარმოაჩენს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით პოტენციალს.

2. **მიმართულება: ისტორია-არქოლოგია**

საქართველოს ისტორიის ქვემიმართულების კვლევის პრიორიტეტებია: ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს ისტორიის კოპლექსური კვლევა საქართველოს მთლიან ისტორიასთან კავშირში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ფართოდ შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის ვრცელი კომენტარებისა და შენიშვნების თანდართვით გამოცემა. წარმოდგენილი კვლევის მიმართულებათა მიზანია კონკრეტულად მოიძიოს, გამოავლინოს, თარგმნოს და სპეციალისტებისათვისა და ზოგადად მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მუზეუმებსა და არქივში დაცული ქუთაისისა და საქართველოს ისტორიის უცნობი ქართული და უცხოენოვანი დოკუმენტები.

მსოფლიო ისტორიის ქვემიმართულებით სამომავლოდ იგეგმება შემდეგი ხასიათის კვლევების განხორციელება:

- ისტორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიოგრაფიული (მისი მიზანია მარქსისტული მიდგომების დაძლევა კვლევისა და სწავლების პროცესში);
- სხვადასხვა ისტორიული ეპოქის (ძველი, შუა საუკუნეები, ახალი და უახლესი) საკვანძო პრობლემატიკის ინტერდისციპლინარულ მიდგომებზე დაფუძნებული კვლევითი პროექტების განხორციელება.

არქეოლოგიის ქვემიმართულება გეგმავს:

- ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ერთობლივი მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის შექმნას.
- აწსუ–ს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მიმართულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება, რაც პერსპექტივაში გულისხმობს ერთობლივი ინტერდისციპლინარული კვლევების განხორციელებას.
- საქართველოს და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა და ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა.
- უკვე არსებულ ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი კვლევების გაგრძელება (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო და ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტი)

3. **მიმართულება: ლინგვისტიკა**

სამომავლოდ, მიზანშეწონილია ფაკულტეტის შიგნით ლინგვისტური პროფილით განხორციელდეს შემდეგი ხასიათის კვლევები:

- ზოგადთეორიული, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამედროვე ლინგვისტური თეორიებისა და მიდგომების შესწავლაზე;
- სოციოლინგვისტური, საქართველოსა და მსოფლიოს ენობრივი პოლიტიკისა და ენობრივი სიტუაციების საკითხების დამუშავება-შესწავლა;
- ისტორიულ-შედარებითი, შესაბამისი ენის საკითხების განხილვა ისტორიული გავითარებისა და გრამატიკული სტრუქტურის შედარების საფუძველზე;
- გამოყენებითი, რომლის ფარგლებშიც მოხდება თითოეული ენის შესწავლის მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვა;
- დიაქრონიული(ენის ისტორიის) კვლევითი პროფილით შეისწავლება ენების დიაქრონული სურათი;
- დიალექტოლოგიური კვლევითი პროფილით მოხდება ქართული და შესაბამისი ენების დიალექტური მრავალფეროვნებისა და გრამატიკული თავისებურებების საკითხების დამუშავება;
- გრამატიკული კვლევითი მიდგომა ენათა ფონეტიკურ-მორფოლოგიურ და სინტაქსურ საკითხებს დაამუშავებს;
- ლექსიკოგრაფიული კვლევის პერსპექტივა დაეფუძნება თარგმნით და განმარტებით ლექსიკონებზე მუშაობას;
- მნიშვნელოვანია კონკრეტულ ენათა შეპირისპირებითი კვლევის ასპექტი, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სხვადასხვა სისტემების ენათა შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ფუნდამენტური ნაშრომის გამოცემა;
- ასევე უცხოური ენების სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელოს შექმნა (ქართულენოვანი აუდიტორიისათვის), რომელიც საგრძნობლად აამაღლებს უცხოური ენის დაუფლების დონეს ჩვენს ქვეყანაში.

იგეგმება ინტერდისციპლინარული და ემპირიული ხასიათის კვლევები; პირველ შემთხვევაში მოხდება კვლევა დარგთაშორისი მიდგომით, ხოლო, მეორე შემთხვევაში-დოკუმენტური მასალებისა და წყაროების ფილოლოგიურ-ისტორიული ანალიზი.

4. მიმართულება: ლიტერატურათმცოდნეობა

ფაკულტეტის ფარგლებში მიმდინარე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების არეალისა და სამეცნიერო პოტენციალის გათვალისწინებით იკვეთება კვლევის შემდეგი პერსპექტივები:

- კომპარატივისტული და ინტერდისციპლინური კვლევების გაღრმავება, ლიტერატურის ინტერდისციპლინური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბება ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის სისტემატიზაციისა და კომპლექსური კვლევის წარმართვის მიზნით;
- კვლევის ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი საერთაშორისო პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების გზით; საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებსა თუ სხვა აკადემიურ გამოცემებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია;
- ციფრული ფილოლოგიის განვითარების ხელშეწყობა;
- კვლევის გაღრმავება ლიტერატურული სემიოტიკისა და კოგნიტური ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით.

5. ფილოსოფია-ფსიქოლოგია

ასევე იგეგმება ფილოსოფია-ფსიქოლოგიის კუთხით ინტერდისციპლინური კვლევების გაღრმავება.

9. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

სამეცნიერო კვლევევების ინტერნაციონალიზმის მხრივ დაგეგმილია შემდეგი სამუშაოების განხორციელება:

- იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტთან საუნივერსიტეტო პარტნიორობის (GIP-Partnerschaft. DAAD) წარმატებით და გაღრმავებულად წარმართვა;
- მუშაობის გააქტიურება საერთაშორისო პარტნიორებთან, რომლებმაც უკვე გამოხატეს თავიანთი ინტერესი ერთობლივი კვლევითი სამუშაოების განხორციელებისათვის (კვიპროსის რესპუბლიკის უნივერსიტეტი, ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტი პოლონეთის საელჩოს მხარდაჭერით, შვეიცარიის უნივერსიტეტი ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით);
- ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისა და დოქტორანტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო სასწავლო–კვლევით და გაცვლით პროექტებსა და პროგრამებში;
- დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიური კვლევებით დაინტერესებული ახალი საერთაშორიო პარტნიორების მოძიება;
- ინტერნაციონალიზაციის მხრივ გასაძლიერებელია მუშაობა ERASMUS + პროგრამის ფარგლებში credit mobility -ის მხრივ, რაც გაზრდის ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას;
- გაძლიერდება სამუშაოები ევროკავშირის პროგრამა Horizon 2020-ის კვლევებში ჩართვასთან დაკავშირებით;